საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004235

„ 4 “ თებერვალი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. ნიბლაძის I ჩიხი, №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ედილი-2015“ (ს/კ 405114816)

მინისტრის 2019 წლის 27 მარტის №2-280 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (დანართი №94, 25.12.2017)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ № 004235 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004235 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 73[8] მუხლის ბრალეული ნაწილის, 73[9] მუხლის, 84-ე მუხლის პირველი ნაწილის 82[2] მუხლის და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გზებისადაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მაკვანი სახელმწიფო ინსპექტორი ზაზა კოტიკოლაძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ზ. კოტიკოლაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 4 თებერვლის №004235 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის №DES82300000229 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა, ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოსიაურში განთავსებული, შპს „ელისი-2015“-ის (ს/ნ 405114816) კუთვნილ ასფალტის წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 მარტის №2-280 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 25 დეკემბრის № 94 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2017 წლის 25 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის № 94 დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად, კომპანია საქმიანობას არ ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის **გ-1** წყაროდან (საშრობი დოლის მილი) გაფრქვეული მავნე ნივთიერებების პარამეტრები არ შეესაბამებოდა გზშ ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებს. კერძოდ, **გ-1** წყაროდან გაფრქვეული ნახშირჟანგის რაოდენობა - 2425 მგ/მ^3 არ შეესაბამება (10.24 - ჯერ აღემატება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ რაოდენობას - 236.8 მგ/მ^3.

2. კომპანიას გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი", შესაბამისად, არ იყო შესრულებული 2017 წლის 25 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის № 94 დასკვნის **მე-4 პირობა, რომლის შესაბამისად კომპანია ვალდებულია** უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვას და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.

აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

3. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოში შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელებულია, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილება. კერძოდ, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო, რომლის მოწყობაც არ იყო გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას (იმ პერიოდისთვის მოქმედი რედაქცია);**

4. ასევე დადგინდა, რომ საქმიანობის განხორციელების პროცესში არ არის შესრულებული „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები. კერძოდ:

4.1. კომპანიის მიერ ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. მტკვარი) ჩამდინარე წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია 3.2 - ჯერ (194 მგ/ლ) აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას (60 მგ/ლ). შესაბამისად დადგინდა, რომ კომპანიის მიერ განხორციელდა ზედაპირული წყლის ობიექტის (მდ. მტკვარი) დაბინძურება, რაც წარმოადგენს **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით და 82[2] მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

ასევე ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების ფაქტზე, გაანგარიშდა გარემოსათვის მიყენებული ზიანი, რომლის ოდენობამ შეადგინა 402 ლარი.

4.2. ინსპექტირების პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის გ-1 წყაროზე (მილი) ჩატარებული გაზომვების შედეგად დაფიქსირდა მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის გადამეტების ფაქტი. ჩატარებული გაზომვების შედეგად ნახშირწყალბადების კონცენტრაციამ შეადგინა 17380 მგ/მ^3, ხოლო გოგირდის დიოქსიდის კონცენტრაციამ 2199 მგ/მ^3. შესაბამისად, დადგინდა, რომ ნახშირწყალბადების შემთხვევაში 23.4 - ჯერ, ხოლო გოგირდის დიოქსიდითვის 5.9 - ჯერ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. აღნიშნული წარმოადგენს **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის მე-5 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით და გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევას;**

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 30 იანვარს, კომპანიის მიმართ შედგა შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები:

2026 წლის 4 თებერვლის №004235 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 085805 ოქმი;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის მე-5 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის და გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 085806 ოქმი;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82^2 მუხლის მე-3 ნაწილის და 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 085807 ოქმი;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 085808 ოქმი;

აღნიშნული ოქმები თანდართული მასალებით, 2024 წლის 15 თებერვლის №DES924 00009888 წერილით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 2 აპრილის №4-47-2024 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილით, 82^2 მუხლის მე-3 ნაწილით და 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ასევე გადააკვალიფიცირა 79^8 მუხლის მე-2 ნაწილის გ) ქვეპუნქტი 79^8 მუხლის პირველი ნაწილზე და კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. ასევე დააკისრა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 402 ლარის ოდენობით.

ამასთან, ამავე დადგენილებით, შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის მე-5 ნაწილის ბ) და გ) ქვეპუნქტებით.

დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო

2026 წლის 4 თებერვლის №004235 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ელისი-2015“-ის მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 4 თებერვლის №004235 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 4 თებერვლის №004235 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ელისი-2015“-ის (ს/ნ 405114816) კუთვნილ ასფალტის წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 მარტის №2-280 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2017 წლის 25 დეკემბრის № 94 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ელისი-2015“ ვალდებულია**:

1. საქმიანობის განხორციელება მუდმივად უზრუნველყოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ვალდებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2017 წლის 25 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის № 94 დასკვნის **პირველი პირობა**);

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ საქმიანობის განხორციელების პროცესში, მუდმივად უზრუნველყოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება (2017 წლის 25 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის № 94 დასკვნის **მე-4 პირობა);**

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ აღკვეთოს და შემდგომ არ დაუშვას** საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წყლ(ებ)ის ჩაშვება, ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. მტკვარი);

4. ამასთან, ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიის მიერ განხორციელებულია ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-3 პუნქტი), **შპს „ელისი-2015“ ვალდებულია** ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს,** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.